




Food and Agriculture
Organization of the
United Nations



General Fisheries
Commission for
the Mediterranean

BlackSea4Fish


ქიცვიანი ზვიგენი შავ ზღვაში




შემოუერთდით ჩვენს გადაუდებელ
აქტივობას საფრთხის ქვეშ მყოფი
რეგიონული პოპულაციების აღსადგენად



Funded by the
European Union




ქიცვიანი ზვიგენი (კატრანი) (*Squalus acanthias*) ოდესღაც მთელ შავ ზღვაში იყო გავრცელებული.



თუმცა, მარაგების არასათანადო მართვის გამო დღეს მათი რეგიონული არსებობა საფრთხის ქვეშაა.




კატრანს მიზნობრივად ჯერ კიდევ იჭერენ ბულგარეთსა და რუმინეთში, შავი ზღვის დანარჩენ ტერიტორიაზე კი თანჭერისას, როგორც აქტიური, ასევე პასიური სათევზაო აღჭურვილობით.



კატრანი იზრდება ნელა, სქემწიფობას აღწევს გვიან და ტოვებს მცირერიცხოვან შთამომავლობას - ეს კი მის პოპულაციას განსაკუთრებით დაუცველს ხდის გადაჭარბებული თევზჭერის შემთხვევაში.

ასეთი მოწყვლადობის გამო, ხმელთაშუა ზღვის თევზჭერის გენერალურმა კომისიამ (GFCM) სამეცნიერო მონიტორინგისათვის ეს სახეობა პრიორიტეტად გამოაცხადა და **BlackSea4Fish** პროექტის ფარგლებში სპეციალური კვლევის პროგრამა დაიწყო.



კატრანის მოპოვების ოფიციალური რაოდენობა


როგორ ამოვიცნოთ ქიცვიანი ზვიგენი

მნიშვნელოვანია განვასხვაოთ ქიცვიანი ზვიგენი (*Squalus acanthias*) მისი ახლო ნათესავისგან, გრძელეკლიანი კატრანისგან (*Squalus blainville*).

ქიცვიანი ზვიგენი


ზურგის პირველი ფარფლი თხელი და ძალიან მოკლე

სხეულის გვერდებს ჩვეულებრივ ახასიათებს თეთრი ლაქების თვალსაჩინო ხაზი



გრძელეკლიანი კატრანი

ზურგის პირველი ფარფლი თხელი და საკმაოდ გრძელი, განსხვავებით ქიცვიანი ზვიგენისაგან




არ გააჩნია თეთრი ლაქები გვერდებზე

უსაფრთხო მოპყრობა


ქიცვიანი ზვიგენის თანჭერისას გადარჩენის მაჩვენებელი იზრდება შემდეგი საუკეთესო პრაქტიკული მოპყრობის მეთოდებით:



სორტირებისას პრიორიტეტი მიანიჭეთ ქიცვიან ზვიგენს.



მოერიდეთ ლაყუჩების და ეკლების დაზიანებას.



ანკესიდან მოხსნისას დაიცავით სიფრთხილის ზომები.




ქიცვიან ზვიგენს შხამიანი ეკლები აქვს, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს დაზიანება: თევზის გაშვების დროს ფრთხილად იყავით ეკლებთან!



© Timuçin Dinçer

მნიშვნელოვანი ქმედებები ქიციანი ზვიგენის გადასარჩენად



შეამცირეთ თანჭერის მოცულობა ეფექტური შემარბილებელი ზომების დაგროვებითა და გაზიარებით.



გაზარდეთ თანჭერილის გადარჩენის მარვენებელი საუკეთესო პრაქტიკული მეთოდების გამოყენებით.



მეთევზეებსა და სახელმწიფო მოხელეებს შეუძლიათ ერთად იმუშაონ სახეობაზე ზეწოლის შესამცირებლად.



პრიორიტეტია ალტერნატიული შემოსავლის წყაროს მოძიება იმ მეთევზეთათვის, ვინც ქიციან ზვიგენს იჭერს.



ჩვენ თქვენი დახმარება გვჭირდება!

GFCM-ს სურს მოუსმინოს იმ მეთევზეებს, რომლებსაც საკუთარი ცოდნის საშუალებით შეუძლიათ წვლილი შეიტანონ ქიციან ზვიგენებთან დაკავშირებულ ჩვენს აღდგენით პროგრამაში. თუ ფლობთ რაიმე სასარგებლო ინფორმაციას, შეგიძლიათ მნიშვნელოვანი როლი ითამაშოთ სახეობების გადარჩენაში: გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ დღეს.

თქვენ შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ელ.ფოსტის საშუალებით ramaz.mikeladze@nea.gov.ge

ხმელთაშუა ზღვის თევზჭერის გენერალური კომისია, BlackSea4Fish, და ზუთხის აღდგენის პროექტი

GFCM მართავს რეგიონის თევზჭერას. კომისიაში შედის 22 წევრი ქვეყანა და ევროკავშირი, ხოლო მის მთავარ მიზანს წარმოადგენს ხმელთაშუა და შავი ზღვების ცოცხალი რესურსების კონსერვაცია და მდგრადი გამოყენების უზრუნველყოფა. 2016 წელს GFCM-მა წამოიწყო პროექტი BlackSea4Fish, რომელიც უზრუნველყოფს შავი ზღვის თევზჭერის მდგრადი მართვის სამეცნიერო და ტექნიკურ მხარდაჭერას.

ქიციანი ზვიგენის შესახებ ცნობიერების ამაღლების კამპანია ტარდება რუმინეთის საზღვაო კვლევისა და განვითარების ეროვნულ ინსტიტუტთან (NIMRD) და მეთევზეობისა და აკვაკულტურის ეროვნულ სააგენტოსთან (NAFA), თურქეთის მეთევზეობის ცენტრალურ კვლევით ინსტიტუტთან (SUMAE) და მეთევზეობისა და აკვაკულტურის გენერალურ დირექტორატთან (BSGM). საქართველოს გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან (NEA) და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან და ბულგარეთის მეთევზეობისა და აკვაკულტურის აღმასრულებელ სააგენტოსთან (EFAF) თანამშრომლობით, GFCM-ის შავი ზღვის ტექნიკური დანაყოფის ზედამხედველობით.



Some rights reserved. This work is available under a CC BY-NC-SA 3.0 IGO licence